- თბილისის მასშტაბით გადანაწილებული პლასტიკური ბარათებიდან ყოველთვიურად, ფარულად თანხები გამოჰქონდათ უშუალოდ ა–----- თ----------ს, დ----- ა---–---ს, დ-------- ჩ----ეს, ასევე – წინასწარ შერჩეულ, ნდობით აღჭურვილ თბილისის მერიისა და ადგილობრივი გამგეობების თანამშრომლებსა და სხვა პირებს, რომლებიც ბანკომატებიდან აღებულ თანხას, წინასაარჩევნოდ გაწეული სამუშაოების სანაცვლოდ, ხელფასის სახით ურიგებდნენ „ე----------–----------“ პარტიულ აქტივისტებს – 719 უბნის უფროსსა და დაახლოებით 20 000 მიკროკოორდინატორს ისე, რომ თავად ბარათის რეალური მესაკუთრეებისათვის თანხის წარმომავლობის თაობაზე არაფერი იყო ცნობილი.

- 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით,

დასახელებული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა პარტიული ინტერესებისათვის მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგეს თბილისის მერიის საბიუჯეტო სახსრები, დიდი ოდენობით თანხა – 13 852 497 ლარი.

- მას შემდეგ, რაც ააიპ „თ----–----------“ ფიქციურად დასაქმებულ ე.წ. „შენობების კვლევის სპეციალისტთა“ მიერ მიღებული შემოსავალი მიუახლოვდა 40 000 ლარს, საიდანაც დგება ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულება და, შესაბამისად, ბარათების რეალური მესაკუთრეებისათვის ცნობილი გახდებოდა დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, თ---–----------ა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------–-------–----------“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის – გ------- უ-------ს ბრძანებით გადაწყდა, რომ პლასტიკურ ბარათებზე თანხა აღარ ჩარიცხულიყო და პარტიული აქტივის დაფინანსება გაგრძელებულიყო ფონდის ანგარიშიდან გამოტანილი ნაღდი ფულით.

- აღნიშნული მიზნით 2012 წლის 16 ივნისიდან 2012 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით, ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა – თ---–--------- მ---------ემ – დ----- ა–-----ემ და ააიპ „თ---–----------“ თავმჯდომარემ – გ------- ს------ემ, წინასწარ შემუშევებული დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით, საინკასაციო მომსახურების გარეშე, დ----- ა–------ის სამსახურებრივი ავტომანქანით, ააიპ „თ---–---------“ სს „ლ----------ის“ ანგარიშებიდან, შესაბამისი მიზნობრიობის მითითების გარეშე, საბანკო ჩეკების საშუალებით, ნაღდი ფულის სახით შვიდჯერ გაიტანეს ჯამურად – 34 328 463 ლარი. გამოტანილი თანხა ა–----- თ----------ის მეშვეობით 2012 წლის ივნისიდან ოქტომბრამდე, კოორდინატორების რაოდენობის მიხედვით, ეტაპობრივად ხელზე გადაეცემოდა პარტიის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, მათ შორის – დ----- ა---–---სა და დ-------- ჩ----ეს, ხოლო მათი მეშვეობით – უშუალოდ პარტიულ აქტივისტებს.

- 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ოქტომბრის ჩათვლით, დ-------- ჩ----ემ და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებმა პარტიული ინტერესებისათვის მთლიანად მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგეს თბილისის მერიის კუთვნილი საბიუჯეტო სახსრები, დიდი ოდენობით თანხა – 48 180 960 ლარი.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 28 თებერვლის განაჩენით:

გ------- ს------ეს წარდგენილი ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის

182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

გ------- ს------ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა; მასვე საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით 1 წლით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

გ------- უ---—---სათვის, დ----- ა—-----ისა და დ----- ა---—---ისათვის წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებიდან, ხოლო ა—----- თ----------ისათვის საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

გ------- უ-------- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და განესაზღვრა 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა; მასვე საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით 8 თვით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის გამოყენებით გ------- უ--------ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა ძირითადი და დამატებითი სასჯელების ვადა და საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე – 6 თვით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების საფუძველზე გ------ უ--------ს მიმართ ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი სრულად შთანთქა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 6 იანვრის განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა – 1 წლით, 3 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთამ და დამატებითი სასჯელის სახით დანიშნულმა 6 თვით სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის უფლების ჩამორთმევამ და საბოლოოდ გ------- უ--------ს განესაზღვრა 1 წლით, 3 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა, ასევე დამატებითი სასჯელი – 6 თვით სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გ------- უ--------ს საბოლოო სასჯელში ჩაეთვალა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 6 იანვრის განაჩენით მთლიანად მოხდილი სასჯელი.

გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის განჩინებით აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულის მიმართ შეფარდებული გირაოს უზრუნველსაყოფად დადებული ყადაღა ნ--- კ----ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მდებარე: თ----------).

დ----- ა------ე, ა------ თ----------ი და დ----- ა---------ი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯათ 1-1 წლით, 6-6 თვითა და 20-20 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალათ პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით; მათვე, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით 8-8 თვით ჩამოერთვათ სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის გამოყენებით დ----- ა------ეს, ა------ თ----------სა და დ----- ა---------ს ერთი მეოთხედით შეუმცირდათ ძირითადი სასჯელის, პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი და დამატებითი სასჯელის ვადა და საბოლოოდ განესაზღვრათ 1-1 წლითა და 2-2 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალათ პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით, ასევე – 6-6 თვით ჩამოერთვათ სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

მსჯავრდებულ დ----- ა------ეს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 27 ივნისიდან 2013 წლის 26 ივლისის ჩათვლით და 2017 წლის 29 დეკემბერი, მსჯავრდებულ ა------ თ------ს – 2013 წლის 27 ივნისიდან 2013 წლის 26 ივლისის ჩათვლით და 2017 წლის 11 ივლისი, ხოლო მსჯავრდებულ დ----- ა---------ს – 2013 წლის 27 ივნისიდან 2013 წლის 26 ივლისის ჩათვლით.

დ-------- ჩ----ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 25-ე,182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. გამართლებულს განემარტა საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

8. სასამართლომ დაადგინა, რომ: გ------- ს------ემ ჩაიდინა გაფლანგვა, ე.ი. პირის მართლზომიერ მფლობელობასა ან გამგებლობაში მყოფი სხვისი ნივთის დიდი ოდენობით გაფლანგვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ხოლო გ------- უ---------მ, დ----- ა------ემ, ა------ თ----------მა და დ----- ა----------მა ჩაიდინეს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

9. **გ------- ს------ის** ქმედება გამოიხატა შემდეგში:

- თბილისის მთავრობის №2-------- დადგენილებით თბილისის მერიამ 2010 წლის 16 ივლისს ერთპიროვნულად დააფუძნა ააიპ „თ---–----------
----------ი“, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თბილისის ტერიტორიაზე ისტორიული და სხვა მნიშვნელოვანი შენობების რეაბილიტაცია-გამაგრების მიზნით სტრატეგიის შემუშავება, მისი განხორციელების ხელშეწყობა და შესრულებაზე კონტროლი. ამ მიზნით ცენტრალური და ადგილობრივი (თბილისის მერია) ბიუჯეტიდან ფონდს გამოეყო თანხები, რომელთა ხარჯვის მიზნობრიობაზე, წესდების მიხედვით, ფონდის ხელმძღვანელობა ანგარიშვალდებულია თბილისის მერიის, როგორც დამფუძნებლის, წინაშე.

- ააიპ „თ---–----------“ საქმიანობას ზედამხედველობას უწევს ფონდის გამგეობა, რომლის წევრებიც იმავდროულად შედიოდნენ თბილისის მთავრობის შემადგენლობაში. ფონდის გამგეობამ, ფონდის თავმჯდომარესთან ერთად, უნდა გააკონტროლოს ფონდის ფინანსური სახსრების მიზნობრივი განკარგვა და ქონების დაცვა.

- 2010 წლის 16 ივლისიდან 2012 წლის 16 ოქტომბრამდე ფონდის თავმჯდომარე იყო გ------- ს------ე.

- 2011 წლის აგვისტოდან 2011 წლის დეკემბრამდე თ---–---------- – გ------- უ---–---ს გადაწყვეტილებითა და ქალაქის მთავრობის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე სს „ლ----------ში“ ააიპ „თ---–----------
----------“ ანგარიშებზე წინასაარჩევნო პარტიული ხარჯების დაფარვის მიზნით აკუმულირებულ იქნა 100 000 000 ლარი.

- აღნიშნულის შემდეგ თ---–---------- – გ------- უ---–---ს დავალებით, ააიპ „თ---–----------“ თავმჯდომარემ – გ------- ს------ემ 2011 წლის 9 ნოემბერს წერილობით მიმართა სს „ლ----------ს“ ააიპ „თ---–----------
----------“ შენობის კვლევის 719 სპეციალისტისათვის პლასტიკური სახელფასო ბარათების დამზადების თხოვნით, რომლებიც რეალურად წარმოადგენდნენ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------–---
----–----------“ აქტივს. დამზადებული პლასტიკური ბარათები, რომლებზეც სხვადასხვა დროს ააიპ „თ---–----------“ მეშვეობით უკანონოდ ირიცხებოდა თანხები, გ------- ს------ემ, თავის მხრივ, გადასცა ა–----- თ----------ს, რომელიც თბილისის მასშტაბით უზრუნველყოფდა წინასაარჩევნო პროცესის დროს „ე----------–----------
----------“ რაიონული ორგანიზაციებისათვის ფულადი სახსრების განაწილებას. ა–----- თ----------მა პლასტიკური ბარათები გადაანაწილა

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------“ თბილისის 10 რაიონულ ორგანიზაციაზე, მათ შორის გადასცა ამავე პარტიის მთაწმინდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს – დ----- ა----ს, რომელმაც, თავის მხრივ, მთაწმინდის რაიონული ორგანიზაციის პარტიული აქტივის დაფინანსებისათვის განკუთვნილი ბარათების ნაწილი გადასცა თავის მ---------ეს – დ-------- ჩ----ეს.

- თბილისის მასშტაბით გადანაწილებული პლასტიკური ბარათებიდან ყოველთვიურად, ფარულად თანხები გამოჰქონდათ უშუალოდ ა------ თ----------ს, დ----- ა---------ს, დ-------- ჩ----ეს, ასევე – წინასწარ შერჩეულ, ნდობით აღჭურვილ თბილისის მერიისა და ადგილობრივი გამგეობების თანამშრომლებსა და სხვა პირებს, რომლებიც ბანკომატებიდან აღებულ თანხას, წინასაარჩევნოდ გაწეული სამუშაოების სანაცვლოდ, ხელფასის სახით ურიგებდნენ „ე----------“ პარტიულ აქტივისტებს – 719 უბნის უფროსსა და დაახლოებით 20 000 მიკროკოორდინატორს ისე, რომ თავად ბარათის რეალური მესაკუთრეებისათვის თანხის წარმომავლობის თაობაზე არაფერი იყო ცნობილი.

- 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით, გ------- ს------ემ მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგა დიდი ოდენობით ფულადი თანხა – 13 852 497 ლარი.

- მას შემდეგ, რაც ააიპ „თ----------ში“ ფიქციურად დასაქმებულ ე.წ. „შენობების კვლევის სპეციალისტთა“ მიერ მიღებული შემოსავალი მიუახლოვდა 40 000 ლარს, საიდანაც დგება ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულება და, შესაბამისად, ბარათების რეალური მესაკუთრეებისათვის ცნობილი გახდებოდა დანაშაულებრივი სქემის შესახებ, თ----------ა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის – გ------- უ-------ს ბრძანებით გადაწყდა, რომ პლასტიკურ ბარათებზე თანხა აღარ ჩარიცხულიყო და პარტიული აქტივის დაფინანსება გაგრძელებულიყო ფონდის ანგარიშიდან გამოტანილი ნაღდი ფულით.

- აღნიშნული მიზნით, 2012 წლის 16 ივნისიდან 2012 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით, თ---------- მ---------ემ – დ----- ა------ემ და ააიპ „თ----------“ თავმჯდომარემ – გ------- ს------ემ, საინკასაციო მომსახურების გარეშე, დ----- ა------ის სამსახურებრივი ავტომანქანით, ააიპ „თ----------“ სს „ლ----------ის“ ანგარიშებიდან, შესაბამისი მიზნობრიობის მითითების გარეშე, საბანკო ჩეკების საშუალებით, ნაღდი ფულის სახით გაიტანეს ჯამურად – 34 328 463

ლარი. გამოტანილი თანხა ა-—----- თ----------ის მეშვეობით 2012 წლის ივნისიდან ოქტომბრამდე, კოორდინატორების რაოდენობის მიხედვით, ეტაპობრივად ხელზე გადაეცემოდა პარტიის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, მათ შორის – დ----- ა---—---სა და დ---------- ჩ----ეს, ხოლო მათი მეშვეობით – უშუალოდ პარტიულ აქტივისტებს.

- ამავდროულად, დ----- ა-—-----ე და გ------- ს------ე დაუკავშირდნენ შპს „ფ---------—ისა“ და შპს „ს----------ის“ წარმომადგენელს – თ------- ნ-—------ეს, ვისთანაც შეათანხმეს მომსახურების დეტალები და ფასი, რაც მიზნად ისახავდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------—----------—----------“ ხელმძღვანელი პირების წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების პროცესში მხარდამჭერებთან შეხვედრებისას მათი საკვებით უზრუნველყოფას. 2012 წლის თებერვლიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით, გ------- ს------ემ, დ----- ა-—-----ესთან შეთანხმებით, შპს „ფ---------—სა“ და შპს „ს----------თან“ ააიპ „თ---—----------“ სახელით გააფორმა ხელშეკრულებები „ფურშეტის“ ორგანიზების თაობაზე, რის შედეგადაც 2012 წლის თებერვლიდან 2012 წლის ივლისის ჩათვლით, ფონდის სახსრებით მართლსაწინააღმდეგოდ დაფინანსდა „ე----------—----—----------“ წინასაარჩევნო კამპანია და პარტიის ლიდერების შეხვედრები მხარდამჭერებთან.

- ამ გზით გ------- ს------ემ 2012 წლის თებერვლიდან 2012 წლის ივლისის ჩათვლით, მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგა ფონდში გადარიცხული დიდი ოდენობით ფულადი თანხა – 719 862 ლარი.

- 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ოქტომბრის ჩათვლით, ააიპ „თ---—----------“ თავმჯდომარემ – გ------- ს------ემ მთლიანობაში მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგა დიდი ოდენობით თანხა – 48 900 822 ლარი.

10. **გ------- უ----—---ს** ქმედება გამოიხატა შემდეგში:

- თბილისის მთავრობის №2-------- დადგენილებით თბილისის მერიამ 2010 წლის 16 ივლისს ერთპიროვნულად დააფუძნა ააიპ „თ---—----------ი“, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თბილისის ტერიტორიაზე ისტორიული და სხვა მნიშვნელოვანი შენობების რეაბილიტაცია-გამაგრების მიზნით სტრატეგიის შემუშავება, მისი განხორციელების ხელშეწყობა და შესრულებაზე კონტროლი. ამ მიზნით ცენტრალური და ადგილობრივი (თბილისის მერია) ბიუჯეტიდან ფონდს გამოეყო თანხები, რომელთა ხარჯვის მიზნობრიობაზე, წესდების მიხედვით, ფონდის ხელმძღვანელობა ანგარიშვალდებულია თბილისის მერიის, როგორც დამფუძნებლის,

წინაშე.

- ააიპ „თ----–----------“ საქმიანობას ზედამხედველობას უწევს ფონდის გამგეობა, რომელმაც, ფონდის თავმჯდომარესთან ერთად, უნდა გააკონტროლოს ფონდის ფინანსური სახსრების მიზნობრივი განკარგვა და ქონების დაცვა.

- 2010 წლის 16 ივლისიდან 2012 წლის 16 ოქტომბრამდე ფონდის თავმჯდომარე იყო გ------- ს------ე.

- 2011 წლის აგვისტოდან 2011 წლის ნოემბრამდე თ---–---------- – გ------- უ-------–---ს გადაწყვეტილებითა და ქალაქის მთავრობის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე, სს „ლ----------ში“ ააიპ „თ---–----------“ ანგარიშებზე წინასაარჩევნო პარტიული ხარჯების დაფარვის მიზნით აკუმულირებულ იქნა 100 000 000 ლარი.

- აღნიშნულის შემდეგ თ---–---------- – გ------- უ-------–---ს დავალებით, ააიპ „თ----–----------“ თავმჯდომარემ – გ------- ს------ემ 2011 წლის 9 ნოემბერს მიმართა სს „ლ----------ს“ ააიპ „თ---–----------“ შენობის კვლევის 719 სპეციალისტისათვის პლასტიკური სახელფასო ბარათების დამზადების თხოვნით, თუმცა რეალურად აღნიშნული პირები წარმოადგენდნენ არა ფონდის თანამშრომლებს, არამედ – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------–---------–----------“ აქტივისტებს. დამზადებული პლასტიკური ბარათები, რომლებზეც სხვადასხვა დროს უკანონოდ ირიცხებოდა ააიპ „თ---–----------“ კუთვნილი თანხები, გ------- ს------ემ, თავის მხრივ, გადასცა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრს – ა–----- თ----------ს, რომელიც თბილისის მასშტაბით უზრუნველყოფდა წინასაარჩევნო პროცესის დროს „ე----------–---------–----------“ თბილისის ათ რაიონულ ორგანიზაციაზე ფულადი სახსრების განაწილებას. ა–----- თ----------მა პლასტიკური ბარათები, მათ შორის, გადასცა ამავე პარტიის მთაწმინდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს – დ----- ა-------ს, რომელმაც, თავის მხრივ, მთაწმინდის რაიონული ორგანიზაციის პარტიული აქტივისტების დაფინანსებისათვის განკუთვნილი ბარათების ნაწილი გადასცა თავის მ---------ეს – დ-------- ჩ----ეს.

- თბილისის მასშტაბით გადანაწილებული პლასტიკური ბარათებიდან ყოველთვიურად, ფარულად თანხები გამოჰქონდათ უშუალოდ ა–----- თ----------ს, დ----- ა-------ს, დ-------- ჩ----ეს, ასევე – წინასწარ შერჩეულ, ნდობით აღჭურვილ თბილისის მერიისა და ადგილობრივი გამგეობების თანამშრომლებსა და სხვა პირებს, რომლებიც ბანკომატებიდან აღებულ თანხას, წინასაარჩევნოდ გაწეული სამუშაოების სანაცვლოდ, ხელფასის სახით ურიგებდნენ „ე----------–----

----–----------“ პარტიულ აქტივისტებს – 719 უბნის უფროსსა და დაახლოებით 20 000 მიკროკოორდინატორს ისე, რომ თავად ბარათის რეალური მესაკუთრეებისათვის თანხის წარმომავლობის თაობაზე არაფერი იყო ცნობილი.

· 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით, პარტიული ინტერესებისათვის დაიხარჯა ააიპ „თ---–----------“ მართლზომიერ მფლობელობაში არსებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხა – 13 852 497 ლარი.

· მას შემდეგ, რაც ააიპ „თ---–----------ში“ ფიქციურად დასაქმებულ ე.წ. „შენობების კვლევის სპეციალისტთა“ მიერ მიღებული შემოსავალი მიუახლოვდა 40 000 ლარს, საიდანაც დგება საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება და, შესაბამისად, ბარათების რეალური მესაკუთრეებისათვის ცნობილი გახდებოდა დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, თ---–---------ა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------–---------“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის – გ------- უ--------ს ბრძანებით გადაწყდა, რომ პლასტიკურ ბარათებზე თანხა აღარ ჩარიცხულიყო და პარტიული აქტივის დაფინანსება გაგრძელებულიყო ფონდის ანგარიშიდან გამოტანილი ნაღდი ფულით.

· აღნიშნული მიზნით, 2012 წლის 16 ივნისიდან 2012 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით, თ---–---------- მ---------–ემ – დ----- ა–-----ემ და ააიპ „თ----------“ თავმჯდომარემ – გ------- ს------ემ საინკასაციო მომსახურების გარეშე, დ----- ა–-----ის სამსახურებრივი ავტომანქანით, ააიპ „თ---–----------“ სს „ლ----------ის“ ანგარიშებიდან, შესაბამისი მიზნობრიობის მითითების გარეშე, საბანკო ჩეკების საშუალებით, ნაღდი ფულის სახით გაიტანეს ჯამურად – 34 328 463 ლარი. გამოტანილი თანხა ა–----- თ----------ის მეშვეობით 2012 წლის ივნისიდან ოქტომბრამდე, კოორდინატორების რაოდენობის მიხედვით, ეტაპობრივად ხელზე გადაეცემოდა პარტიის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, ხოლო მათი მეშვეობით – უშუალოდ პარტიის აქტივისტებს.

· 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ოქტომბრის ჩათვლით, ქალაქ თ---–---------- – გ------- უ----–---მ და სხვა პირებმა პარტიული ინტერესებისათვის მთლიანად მართლსაწინააღმდეგოდ დახარჯეს ააიპ „თ----–----------ში“ განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხა – 48 180 960 ლარი, რითაც გ------- უ----–---მ გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას.

11. **დ----- ა—----ის** ქმედება გამოიხატა შემდეგში:

- თბილისის მთავრობის №2-------- დადგენილებით თბილისის მერიამ 2010 წლის 16 ივლისს ერთპიროვნულად დააფუძნა ააიპ „თ---—---------- ----------ი“, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თბილისის ტერიტორიაზე ისტორიული და სხვა მნიშვნელოვანი შენობების რეაბილიტაცია-გამაგრების მიზნით სტრატეგიის შემუშავება, მისი განხორციელების ხელშეწყობა და შესრულებაზე კონტროლი. ამ მიზნით ცენტრალური და ადგილობრივი (თბილისის მერია) ბიუჯეტიდან ფონდს გამოეყო თანხები, რომელთა ხარჯვის მიზნობრიობაზე, წესდების მიხედვით, ფონდის ხელმძღვანელობა ანგარიშვალდებულია თბილისის მერიის, როგორც დამფუძნებლის, წინაშე.

- ააიპ „თ----------“ საქმიანობას ზედამხედველობას უწევს ფონდის გამგეობა, რომელმაც, ფონდის თავმჯდომარესთან ერთად, უნდა გააკონტროლოს ფონდის ფინანსური სახსრების მიზნობრივი განკარგვა და ქონების დაცვა.

- 2010 წლის 16 ივლისიდან 2012 წლის 16 ოქტომბრამდე ფონდის თავმჯდომარე იყო გ------- ს------ე.

- 2011 წლის აგვისტოდან 2011 წლის დეკემბრამდე თ---—---------- – გ------- უ---—---ს გადაწყვეტილებითა და ქალაქის მთავრობის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე სს „ლ----------ში“ ააიპ „თ---—---------- ----------“ ანგარიშებზე წინასაარჩევნო პარტიული ხარჯების დაფარვის მიზნით აკუმულირებულ იქნა 100 000 000 ლარი.

- აღნიშნულის შემდეგ თ---—---------- – გ------- უ---—---ს დავალებით, ააიპ „თ----------“ თავმჯდომარემ – გ------- ს------ემ 2011 წლის 9 ნოემბერს წერილობით მიმართა სს „ლ----------ს“ ააიპ „თ---—---------- ----------“ შენობის კვლევის 719 სპეციალისტისათვის პლასტიკური სახელფასო ბარათების დამზადების თხოვნით, რომლებიც რეალურად წარმოადგენდნენ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------—--- ----—----------“ აქტივს. დამზადებული პლასტიკური ბარათები, რომლებზეც სხვადასხვა დროს ააიპ „თ---—----------“ მეშვეობით უკანონოდ ირიცხებოდა თანხები, გ------- ს------ემ, თავის მხრივ, გადასცა ა—----- თ----—---ს, რომელიც თბილისის მასშტაბით უზრუნველყოფდა წინასაარჩევნო პროცესის დროს „ე----------—---------- ----------“ რაიონული ორგანიზაციებისათვის ფულადი სახსრების განაწილებას. ა—----- თ----—---მა პლასტიკური ბარათები გადაანაწილა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------—----------“ თბილისის 10 რაიონულ ორგანიზაციაზე, მათ შორის გადასცა ამავე

პარტიის მთაწმინდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს – დ---- ა---–---ს, რომელმაც, თავის მხრივ, მთაწმინდის რაიონული ორგანიზაციის პარტიული აქტივის დაფინანსებისათვის განკუთვნილი ბარათების ნაწილი გადასცა თავის მ---------–ეს – დ-------- ჩ----ეს.

- თბილისის მასშტაბით გადანაწილებული პლასტიკური ბარათებიდან ყოველთვიურად, ფარულად თანხები გამოჰქონდათ უშუალოდ ა–----- თ----------–ს, დ----- ა---------ს, დ-------- ჩ----ეს, ასევე – წინასწარ შერჩეულ, ნდობით აღჭურვილ თბილისის მერიისა და ადგილობრივი გამგეობების თანამშრომლებსა და სხვა პირებს, რომლებიც ბანკომატებიდან აღებულ თანხას, წინასაარჩევნოდ გაწეული სამუშაოების სანაცვლოდ, ხელფასის სახით ურიგებდნენ „ე----------–---------–----------“ პარტიულ აქტივისტებს – 719 უბნის უფროსსა და დაახლოებით 20 000 მიკროკოორდინატორს ისე, რომ თავად ბარათის რეალური მესაკუთრეებისათვის თანხის წარმომავლობის თაობაზე არაფერი იყო ცნობილი.

- მას შემდეგ, რაც ააიპ „თ----------ში“ ფიქციურად დასაქმებულ ე.წ. „შენობების კვლევის სპეციალისტთა“ მიერ მიღებული შემოსავალი მიუახლოვდა 40 000 ლარს, საიდანაც დგება საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება და, შესაბამისად, ბარათების რეალური მესაკუთრეებისათვის ცნობილი გახდებოდა დანაშაულებრივი სქემის შესახებ, თ---–----------ა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------–----------“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის – გ------- უ---–---ს ბრძანებით გადაწყდა, რომ პლასტიკურ ბარათებზე თანხა აღარ ჩარიცხულიყო და პარტიული აქტივის დაფინანსება გაგრძელებულიყო ფონდის ანგარიშიდან გამოტანილი ნაღდი ფულით.

- აღნიშნული მიზნით, 2012 წლის 16 ივნისიდან 2012 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით, თ---–---------- მ---------–ემ – დ----- ა–-----ემ და ააიპ „თ----------“ თავმჯდომარემ – გ------- ს------ემ, საინკასაციო მომსახურების გარეშე, დ----- ა–-----ის სამსახურებრივი ავტომანქანით, ააიპ „თ----------“ სს „ლ----------ის“ ანგარიშებიდან, შესაბამისი მიზნობრიობის მითითების გარეშე, საბანკო ჩეკების საშუალებით, ნაღდი ფულის სახით გაიტანეს ჯამურად – 34 328 463 ლარი. გამოტანილი თანხა ა–----- თ----------ის მეშვეობით 2012 წლის ივნისიდან ოქტომბრამდე, კოორდინატორების რაოდენობის მიხედვით, ეტაპობრივად ხელზე გადაეცემოდა პარტიის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, მათ შორის – დ----- ა---–---სა და დ------

-- ჩ----ეს, ხოლო მათი მეშვეობით – უშუალოდ პარტიის აქტივისტებს.

- ამავდროულად, დ----- ა-—-----ე და გ------- ს------ე დაუკავშირდნენ შპს „ფ---------ისა“ და შპს „ს----------ის“ წარმომადგენელს – თ------- ნ-—------ეს, ვისთანაც შეათანხმეს მომსახურების დეტალები და ფასი, რაც მიზნად ისახავდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------—----—----------“ ხელმძღვანელი პირების წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების პროცესში მხარდამჭერებთან შეხვედრებისას მათი საკვებით უზრუნველყოფას. 2012 წლის თებერვლიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით, გ------- ს------ემ, დ----- ა-—-----ესთან შეთანხმებით, შპს „ფ---------ისა“ და შპს „ს----------თან“ ააიპ „თ---—----------“ სახელით გააფორმა ხელშეკრულებები „ფურშეტის“ ორგანიზების თაობაზე, რის შედეგადაც 2012 წლის თებერვლიდან 2012 წლის ივლისის ჩათვლით, ფონდის სახსრებით მართლსაწინააღმდეგოდ დაფინანსდა „ე----------—----—----------“ წინასაარჩევნო კამპანია და პარტიის ლიდერების შეხვედრები მხარდამჭერებთან.

- ამ გზით, 2012 წლის თებერვლიდან 2012 წლის ივლისის ჩათვლით, მართლსაწინააღმდეგოდ გაიფლანგა დიდი ოდენობით ფულადი თანხა – 719 862 ლარი.

- 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ოქტომბრის ჩათვლით, პარტიული ინტერესებისათვის მთლიანად მართლსაწინააღმდეგოდ გაიფლანგა დიდი ოდენობით თანხა – 35 048 325 ლარი, რითაც დ----- ა-—-----ემ გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას.

12. **ა-—---- თ-----—---—ის** ქმედება გამოიხატა შემდეგში:

- თბილისის მთავრობის №2-------- დადგენილებით თბილისის მერიამ 2010 წლის 16 ივლისს ერთპიროვნულად დააფუძნა ააიპ „თ---—----------ი“, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თბილისის ტერიტორიაზე ისტორიული და სხვა მნიშვნელოვანი შენობების რეაბილიტაცია-გამაგრების მიზნით სტრატეგიის შემუშავება, მისი განხორციელების ხელშეწყობა და შესრულებაზე კონტროლი. ამ მიზნით ცენტრალური და ადგილობრივი (თბილისის მერია) ბიუჯეტიდან ფონდს გამოეყო თანხები, რომელთა ხარჯვის მიზნობრიობაზე, წესდების მიხედვით, ფონდის ხელმძღვანელობა ანგარიშვალდებულია თბილისის მერიის, როგორც დამფუძნებლის, წინაშე.

- ააიპ „თ---—----------“ საქმიანობას ზედამხედველობას უწევს ფონდის გამგეობა, რომლის წევრებიც იმავდროულად შედიოდნენ

თბილისის მთავრობის შემადგენლობაში. ფონდის გამგეობამ ფონდის თავმჯდომარესთან ერთად უნდა გააკონტროლოს ფონდის ფინანსური სახსრების მიზნობრივი განკარგვა და ქონების დაცვა.

- 2011 წლის აგვისტოდან 2011 წლის დეკემბრამდე თ----–---------- – გ------- უ---------ს გადაწყვეტილებითა და ქალაქის მთავრობის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე სს „ლ----------ში“ ააიპ „თ----–----------“ ანგარიშებზე წინასაარჩევნო პარტიული ხარჯების დაფარვის მიზნით აკუმულირებულ იქნა 100 000 000 ლარი.

- აღნიშნულის შემდეგ თ----–---------- – გ------- უ-------ს დავალებით, ააიპ „თ----–----------“ თავმჯდომარემ – გ------- ს------ემ 2011 წლის 9 ნოემბერს წერილობით მიმართა სს „ლ----------ს“ ააიპ „თ----–----------“ შენობის კვლევის 719 სპეციალისტისათვის პლასტიკური სახელფასო ბარათების დამზადების თხოვნით, რომლებიც რეალურად წარმოადგენდნენ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------–----–---------“ აქტივს. დამზადებული პლასტიკური ბარათები, რომლებზეც სხვადასხვა დროს ააიპ „თ----–----------“ მეშვეობით უკანონოდ ირიცხებოდა თანხები, გ------- ს------ემ, თავის მხრივ, გადასცა ა–----- თ----------ს, რომელიც თბილისის მასშტაბით უზრუნველყოფდა წინასაარჩევნო პროცესის დროს „ე----------–----------“ რაიონული ორგანიზაციებისათვის ფულადი სახსრების განაწილებას. ა–----- თ----------მა პლასტიკური ბარათები გადაანაწილა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------–----------“ თბილისის 10 რაიონულ ორგანიზაციაზე, მათ შორის გადასცა ამავე პარტიის მთაწმინდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს – დ----- ა---–---ს, რომელმაც, თავის მხრივ, მთაწმინდის რაიონული ორგანიზაციის პარტიული აქტივის დაფინანსებისათვის განკუთვნილი ბარათების ნაწილი გადასცა თავის მ---------ეს – დ-------- ჩ----ეს.

- თბილისის მასშტაბით გადანაწილებული პლასტიკური ბარათებიდან ყოველთვიურად, ფარულად თანხები გამოჰქონდათ უშუალოდ ა–----- თ----------ს, დ----- ა---------ს, დ-------- ჩ----ეს, ასევე – წინასწარ შერჩეულ, ნდობით აღჭურვილ თბილისის მერიისა და ადგილობრივი გამგეობების თანამშრომლებსა და სხვა პირებს, რომლებიც ბანკომატებიდან აღებულ თანხას, წინასაარჩევნოდ გაწეული სამუშაოების სანაცვლოდ, ხელფასის სახით ურიგებდნენ „ე----------–----–----------“ პარტიულ აქტივისტებს – 719 უბნის უფროსსა და დაახლოებით 20 000 მიკროკოორდინატორს ისე, რომ თავად ბარათის რეალური მესაკუთრეებისათვის თანხის წარმომავლობის თაობაზე არაფერი იყო ცნობილი.

- 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით, პარტიული ინტერესებისათვის მართლსაწინააღმდეგოდ გაიფლანგა დიდი ოდენობით თანხა – 13 852 497 ლარი.

- მას შემდეგ, რაც ააიპ „თ----–----------ში“ ფიქციურად დასაქმებულ ე.წ. „შენობების კვლევის სპეციალისტთა“ მიერ მიღებული შემოსავალი მიუახლოვდა 40 000 ლარს, საიდანაც დგება საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება და, შესაბამისად, ბარათების რეალური მესაკუთრეებისათვის ცნობილი გახდებოდა დანაშაულებრივი სქემის შესახებ, თ---–----------ა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------–----------“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის – გ------- უ---------ს ბრძანებით გადაწყდა, რომ პლასტიკურ ბარათებზე თანხა აღარ ჩარიცხულიყო და პარტიული აქტივის დაფინანსება გაგრძელებულიყო ფონდის ანგარიშიდან გამოტანილი ნაღდი ფულით.

- აღნიშნული მიზნით, 2012 წლის 16 ივნისიდან 2012 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით, თ---–---------- მ---------–ემ – დ----- ა–-----ემ და ააიპ „თ----------“ თავმჯდომარემ – გ------- ს------ემ, საინკასაციო მომსახურების გარეშე, დ----- ა–-----ის სამსახურებრივი ავტომანქანით, ააიპ „თ----–----------“ სს „ლ----------ის“ ანგარიშებიდან, შესაბამისი მიზნობრიობის მითითების გარეშე, საბანკო ჩეკების საშუალებით, ნაღდი ფულის სახით გაიტანეს ჯამურად – 34 328 463 ლარი. გამოტანილი თანხა ა–----- თ----------ის მეშვეობით 2012 წლის ივნისიდან ოქტომბრამდე, კოორდინატორების რაოდენობის მიხედვით, ეტაპობრივად ხელზე გადაეცემოდა პარტიის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, მათ შორის – დ----- ა---–---სა და დ-------- ჩ----ეს, ხოლო მათი მეშვეობით – უშუალოდ პარტიულ აქტივისტებს.

- 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე პარტიული ინტერესებისათვის მთლიანად მართლსაწინააღმდეგოდ გაიფლანგა დიდი ოდენობით თანხა – 48 180 960 ლარი. ა–----- თ----–----მა, როგორც მოხელემ, გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას.

13. **დ----- ა---–---ის** ქმედება გამოიხატა შემდეგში:

- თბილისის მთავრობის №2-------- დადგენილებით თბილისის მერიამ 2010 წლის 16 ივლისს ერთპიროვნულად დააფუძნა ააიპ „თ---–----------ი“, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თბილისის ტერიტორიაზე ისტორიული და სხვა მნიშვნელოვანი შენობების რეაბილიტაცია-გამაგრების მიზნით სტრატეგიის შემუშავება, მისი განხორციელების ხელშეწყობა და შესრულებაზე კონტროლი. ამ

მიზნით ცენტრალური და ადგილობრივი (თბილისის მერია) ბიუჯეტიდან ფონდს გამოეყო თანხები, რომელთა ხარჯვის მიზნობრიობაზე, წესდების მიხედვით, ფონდის ხელმძღვანელობა ანგარიშვალდებულია თბილისის მერიის, როგორც დამფუძნებლის, წინაშე.

· ააიპ „თ----------“ საქმიანობას ზედამხედველობას უწევს ფონდის გამგეობა, რომლის წევრებიც იმავდროულად შედიოდნენ თბილისის მთავრობის შემადგენლობაში. ფონდის გამგეობამ ფონდის თავმჯდომარესთან ერთად უნდა გააკონტროლოს ფონდის ფინანსური სახსრების მიზნობრივი განკარგვა და ქონების დაცვა.

· 2010 წლის 16 ივლისიდან 2012 წლის 19 ოქტომბრამდე თბილისის ძველი თბილისის რაიონის გ--------ი დ----- ა---------ი იმავდროულად იყო ფონდის გამგეობის წევრი და პოლიტიკური პარტია „ე----------“ მთაწმინდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

· 2010 წლის 16 ივლისიდან 2012 წლის 16 ოქტომბრამდე ფონდის თავმჯდომარე იყო გ------- ს------ე.

· 2011 წლის აგვისტოდან 2011 წლის დეკემბრამდე თ---------- – გ------- უ---------ს გადაწყვეტილებითა და ქალაქის მთავრობის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე სს „ლ----------ში“ ააიპ „თ----------“ ანგარიშებზე წინასაარჩევნო პარტიული ხარჯების დაფარვის მიზნით აკუმულირებულ იქნა 100 000 000 ლარი.

· აღნიშნულის შემდეგ თ---------- – გ------- უ---------ს დავალებით, ააიპ „თ----------“ თავმჯდომარემ – გ------- ს------ემ 2011 წლის 9 ნოემბერს წერილობით მიმართა სს „ლ----------ს“ ააიპ „თ----------“ შენობის კვლევის 719 სპეციალისტისათვის პლასტიკური სახელფასო ბარათების დამზადების თხოვნით, რომლებიც რეალურად წარმოადგენდნენ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------“ აქტივს. დამზადებული პლასტიკური ბარათები, რომლებზეც სხვადასხვა დროს ააიპ „თ----------“ მეშვეობით უკანონოდ ირიცხებოდა თანხები, გ------- ს------ემ, თავის მხრივ, გადასცა ა----- თ----------ს, რომელიც თბილისის მასშტაბით უზრუნველყოფდა წინასაარჩევნო პროცესის დროს „ე----------“ რაიონული ორგანიზაციებისათვის ფულადი სახსრების განაწილებას. ა----- თ----------მა პლასტიკური ბარათები გადაანაწილა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------“ თბილისის 10 რაიონულ ორგანიზაციაზე, მათ შორის გადასცა ამავე პარტიის მთაწმინდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს – დ----- ა---------ს, რომელმაც, თავის მხრივ, მთაწმინდის რაიონული

ორგანიზაციის პარტიული აქტივის დაფინანსებისათვის განკუთვნილი ბარათების ნაწილი გადასცა თავის მ---------ეს – დ-------- ჩ----ეს.

- თბილისის მასშტაბით გადანაწილებული პლასტიკური ბარათებიდან ყოველთვიურად, ფარულად თანხები გამოჰქონდათ უშუალოდ ა-------თ----------ს, დ----- ა---------ს, დ-------- ჩ----ეს, ასევე – წინასწარ შერჩეულ, ნდობით აღჭურვილ თბილისის მერიისა და ადგილობრივი გამგეობების თანამშრომლებსა და სხვა პირებს, რომლებიც ბანკომატებიდან აღებულ თანხას, წინასაარჩევნოდ გაწეული სამუშაოების სანაცვლოდ, ხელფასის სახით ურიგებდნენ „ე----------------------------“ პარტიულ აქტივისტებს – 719 უბნის უფროსსა და დაახლოებით 20 000 მიკროკოორდინატორს ისე, რომ თავად ბარათის რეალური მესაკუთრეებისათვის თანხის წარმომავლობის თაობაზე არაფერი იყო ცნობილი.

- 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით, პარტიული ინტერესებისათვის მართლსაწინააღმდეგოდ გაიფლანგა დიდი ოდენობით თანხა – 13 852 497 ლარი.

- მას შემდეგ, რაც ააიპ „თ----------ში“ ფიქციურად დასაქმებულ ე.წ. „შენობების კვლევის სპეციალისტთა“ მიერ მიღებული შემოსავალი მიუახლოვდა 40 000 ლარს, საიდანაც დგება საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება და, შესაბამისად, ბარათების რეალური მესაკუთრეებისათვის ცნობილი გახდებოდა დანაშაულებრივი სქემის შესახებ, თ----------ა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ე----------“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის – გ------- უ---------ს ბრძანებით გადაწყდა, რომ პლასტიკურ ბარათებზე თანხა აღარ ჩარიცხულიყო და პარტიული აქტივის დაფინანსება გაგრძელებულიყო ფონდის ანგარიშიდან გამოტანილი ნაღდი ფულით.

- აღნიშნული მიზნით, 2012 წლის 16 ივნისიდან 2012 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით, თ---------- მ---------ემ – დ----- ა---------ემ და ააიპ „თ----------“ თავმჯდომარემ – გ------- ს------ემ, საინკასაციო მომსახურების გარეშე, დ----- ა---------ის სამსახურებრივი ავტომანქანით, ააიპ „თ----------“ სს „ლ----------ის“ ანგარიშებიდან, შესაბამისი მიზნობრიობის მითითების გარეშე, საბანკო ჩეკების საშუალებით, ნაღდი ფულის სახით გაიტანეს ჯამურად – 34 328 463 ლარი. გამოტანილი თანხა ა---------- თ----------ის მეშვეობით 2012 წლის ივნისიდან ოქტომბრამდე, კოორდინატორების რაოდენობის მიხედვით, ეტაპობრივად ხელზე გადაეცემოდა პარტიის რაიონული

ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, მათ შორის – დ----- ა-------სა და დ-------- ჩ----ეს, ხოლო მათი მეშვეობით – უშუალოდ პარტიულ აქტივისტებს.

- 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე პარტიული ინტერესებისათვის მთლიანად მართლსაწინააღმდეგოდ გაიფლანგა დიდი ოდენობით თანხა – 48 180 960 ლარი. დ----- ა-------მა, როგორც მოხელემ, გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას.

14. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. ბრალდების მხარე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის განაჩენში ცვლილების შეტანას: გ------- უ--------ს, გ------- ს------ის, დ----- ა-------ისა და დ----- ა--------ის – საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, ა------- თ------------ის – საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ხოლო დ-------- ჩ----ის – 25-ე,182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დამნაშავეებად ცნობასა და მათთვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას, ასევე – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის განჩინებაში ცვლილების შეტანასა და გ------- უ--------ს მიმართ გირაოს სახით შეტანილი თანხის ამოღების მიზნით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ნ--- კ------ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მ---) აღსასრულებლად მიქცევას.

15. მსჯავრდებულ გ------- უ--------ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ბ--- ბ-------- სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის განაჩენის გაუქმებასა და გ------- უ--------ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

17. საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორები – ქეთევან ჩაჩავა და გიორგი მუჯირი საკასაციო საჩივრით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 10 დეკემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას, გ------- უ--------ს, გ------- ს------ის, დ----- ა-------ისა და დ----- ა--------ის – საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, ა------- თ------------ის – საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ხოლო დ-------- ჩ----ის – 25-ე,182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დამნაშავეებად ცნობასა და მათთვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას, ასევე – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის განჩინებაში ცვლილების

შეტანასა და გ------- უ---------ს მიმართ გირაოს სახით შეტანილი თანხის ამოღების მიზნით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ნ--- კ-----ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღსასრულებლად მიქცევას შემდეგი მოტივებით:

17.1. გაფლანგვის ყველა ელემენტი და თითოეული პირის როლი განხორციელებულ ქმედებაში დადასტურებულია მოწმეთა ჩვენებებითა და წერილობითი მტკიცებულებებით. ქმედების საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლით დაკვალიფიცირებისათვის სახეზე უნდა იყოს ბრალდებულთა მხრიდან მათ მართლზომიერ მფლობელობაში ან/და გამგებლობაში არსებული ნივთის გადაცემა დადგენილი წესის დარღვევით, არამიზნობრივად, მის მიღებაზე არაუფლებამოსილ პირზე, საკუთარი ან სხვა პირის და არა – მესაკუთრის ინტერესის შესაბამისად. ამასთან, გაფლანგვა მაშინაც სახეზეა, როდესაც ქონება უშუალოდ დამნაშავეზე მინდობილი არ არის, მაგრამ მის გამგებლობაში იმყოფება და განკარგავს მას იმ პირის მეშვეობით, რომელიც მასზე სამსახურებრივადაა დამოკიდებული. სწორედ ეს სქემა შეიმუშავეს ბრალდებულებმა, რათა თითოეულს, თავისი ფუნქციიდან გამომდინარე, ააიპ „თ----------“ სახსრები განეკარგა პოლიტიკური პარტია „ე----------“ სასარგებლოდ. დადგენილია ისიც, რომ ბრალდებულები მოქმედებდნენ ერთად, ხმაშეწყობილად და შექმნილი ჰქონდათ მყარი სტრუქტურული ერთეული.

17.2. ბრალდებულ გ------- უ---------ს თანამდებობრივი პოზიციის გამოყენებით ააიპ „თ----------“ თავმჯდომარის – გ------- ს------ის მართლზომიერ მფლობელობაში მოექცა თბილისის მერიის საბიუჯეტო თანხა, რომელიც, გ------- უ---------ს მითითებითა და ბრალდებულების – გ------- ს------ის, დ----- ა-----ის, ა----- თ----------ისა და დ----- ა---------ის მონაწილეობითა და დ-------- ჩ----ის დახმარებით, ხელფასების სახით დაურიგდათ პოლიტიკური გაერთიანება „ე----------“ პარტიულ თანამშრომლებს, ასევე დაფინანსდა პარტიის აქტივობები.

17.3. მოწმეების – ტ-------- ხ----------ის, ნ---- თ----------ისა და მ----- რ------ს ჩვენებებით დადგენილია, რომ თბილისის მერი წარმართავდა მერიისა და ქალაქის მთავრობის საქმიანობას, აკონტროლებდა ბიუჯეტის ხარჯვას, ისმენდა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ. დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების განკარგვა აუცილებლად თანხმდებოდა თბილისის მერთან, რომელიც საკადრო პოლიტიკასა და თანხების განკარგვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან საკითხებზე იღებდა გადაწყვეტილებას. ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში თათბირს პირადად გ------- უ---------ატარებდა. შესაბამისად, დადგენილია ფაქტი, რომ თანამდებობრივად გ------- უ--------- იყო ის უფლებამოსილი პირი როგორც საქალაქო ორგანიზაციის

პარტიულ რგოლში, ისე – ქალაქ თბილისის მერიაში, ვისაც შეეძლო მითითებების მიცემა დიდი ოდენობით თანხის განკარგვაზე.

17.4. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის თბილისის საქალაქო ორგანიზაციაში არსებული 719 უბნის დაახლოებით 20 000 კოორდინატორისათვის ხელფასების გასაცემად საჭირო გახდა დიდი ოდენობით თანხის მოძიება. სწორედ ამ მიზნით, თბილისის მთავრობის დადგენილებების საფუძველზე, თბილისის მერიის საბიუჯეტო კოდზე არსებული 100 000 000 ლარი გადაიტანეს ააიპ „თ---–----------“ ანგარიშზე. გ------- უ---–---, დ----- ა–-----ე, ა–---- თ----------ი და დ----- ა---–---ი იყვნენ მთავრობის წევრები და სწორედ მათი მონაწილეობით, ყოველგვარი დასაბუთების, მიზნობრიობისა და ხარჯთაღრიცხვის ამსახველი დოკუმენტაციის გარეშე, მიიღეს გადაწყვეტილებები საბიუჯეტო სახსრების ფონდის ანგარიშზე გადატანის შესახებ, რაც დადასტურებულია მთავრობის სხდომის ოქმებითა და მთავრობის დადგენილებებით. გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ფონდს მოცემულ პერიოდში ძვირად ღირებული პროექტი ან პროგრამა არ განუხორციელებია და არც გეგმაში ჰქონდა. გაფლანგვის მიზანს ადასტურებს ისიც, რომ ააიპ „თ---–---------“ მომსახურე ბანკი იყო სს „ს---------–---------ი“, თუმცა ფონდისათვის გამოყოფილი თანხა გადაირიცხა სს „ლ----------ში“, 2011 წლის 21 ივლისს გ------ ს------ის მიერ გახსნილ ანგარიშზე.

17.5. იმის გამო, რომ შეუძლებელი იყო, თუნდაც ფიქციურად, ფონდში დამატებით 21 000 პირის დასაქმება, როდესაც იქ დასაქმებული იყო 70 პირი, ფონდის თავმჯდომარეს მიაწოდეს მხოლოდ პოლიტიკური პარტიის საქალაქო ორგანიზაციაში შემავალი უბნის უფროსების სია (სულ – 719 პირი). უბნის უფროსები ფონდის დოკუმენტაციაში ასახეს როგორც „შენობის კვლევის სპეციალისტები“. უბნის უფროსებისათვის უცნობი იყო ფონდში მათი დასაქმების შესახებ. მათი გაფორმება ფიქციურ ხასიათს ატარებდა, რასაც ადასტურებს ისიც, რომ: ფონდს არ გადაუხდია გაცემულ ხელფასზე საშემოსავლო გადასახადი; ფონდში მათ დასაქმებასა და მუშაობასთან დაკავშირებით არ არსებობს რაიმე სახის დოკუმენტი; როდესაც უბნის უფროსების სახელზე დარიცხული თანხა მიუახლოვდა 40 000 ლარს და დადგა ფიზიკური პირის ქონების გადასახადის გადახდის აუცილებლობა, ხელფასების გაცემა გაგრძელდა ნაღდი ანგარიშსწორებით გამოტანილი თანხით.

17.6. ორგანიზებულ ჯგუფში გ------- ს------ის ფუნქცია და მისი თანამდებობის გამოყენება დადასტურებულია სს „ლ----------იდან“ ამოღებული დოკუმენტაციითა და მოწმე ქ------- ნ--------ის ჩვენებით, ქ. ნ--------ესა და გ. ს-------ეს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით. მოწმეების – ტ. ხ----------–---ის, ნ. თ----------ის, მ. რ------ს, მ. თ------ის, ბ. კვ–----ის, გ. დ------ს, ლ. ტ–------ის

ჩვენებებით დადგენილია, რომ ა------ თ-----------ი თავის სამუშაო ოთახში არიგებდა უბნის უფროსების სახელზე დამზადებულ პლასტიკურ ბარათებს, რომელთა არსებობა საიდუმლოდ უნდა შენახულიყო და არ გამჟღავნებულიყო, რაც ემსახურებოდა მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის დეტალების დაფარვას.

17.7. 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით, პარტიულ აქტივს ხელფასის სახით დაერიცხა ჯამურად – 13 852 497 ლარი. უბნის უფროსებზე ყოველთვიურად გაცემული თანხის ოდენობა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, რაც გამოწვეული იყო მიკროკოორდინატორების რაოდენობის ცვლილებით. რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეები პარტიული აქტივისა და ხელფასის სახით გასაცემი თანხის ოდენობის შესახებ ინფორმაციას აწვდიდნენ ა------ თ-----------ს, რომელიც ამ ინფორმაციას ატყობინებდა გ------- ს------ეს, ის კი ყოველთვიურად ბანკში აგზავნიდა ხელფასების გაცემაზე წერილობით მოთხოვნას 719 პირზე გასაცემი თანხების ოდენობების მითითებით, რასაც ადასტურებს ბანკის თანამშრომელი ქ------- ნ--------ე. პლასტიკურ ბარათებზე თანხის ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციას ა------ თ-----------ი ატყობინებდა რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეებს, რაც დასტურდება მოწმეების – გ. გ--------------ის, მ. რ------ს, მ. თ------ის, ბ. კვ------ის, ლ. ტ--------ის, გ. დ------ს ჩვენებებითა და სასამართლოში გამოკვლეული სატელეფონო ზარების დათვალიერების ოქმით. პლასტიკური ბარათებიდან თანხა გამოჰქონდათ რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეებს, მათ შორის – დ----- ა--------სა და დ-------- ჩ----ეს, რომლებმაც შენობის კვლევის სპეციალისტებად გაფორმებული 33 პირის სახელზე დამზადებული სახელფასო პლასტიკური ბარათებით ბანკომატიდან გამოიტანეს 150 050 ლარი. თანხის გამოტანის შემდეგ რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეები უზრუნველყოფდნენ მათზე დაქვემდებარებულ პარტიულ აქტივზე ხელფასის გაცემას.

17.8. ააიპ „თ--------------------------------იდან“ საბიუჯეტო თანხების უკანონოდ გაფლანგვის განზრახვასა და ორგანიზებული ჯგუფის წევრების ერთობლივ მოქმედებაზე მიუთითებს პლასტიკური ბარათების გაუქმებისა და ფონდის ანგარიშიდან ნაღდი ანგარიშსწორებით გამოტანილი თანხის პარტიულ აქტივზე ხელფასის სახით გაცემის ფაქტი. პლასტიკური ბარათების გაუქმების საკითხი გაიტანეს ერთ-ერთ პარტიულ თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ დ----- ა--------იც და ა------ თ-----------იც. მოწმე ტ. ხ-------------ის ჩვენებით, აღნიშნული საკითხი შეთანხმდა გ------- უ---------სთან, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება.

17.9. გ------- უ---------ს გადაწყვეტილების დ----- ა-------ის, გ------- ს------ის, ა------ თ-----------ისა და დ----- ა--------ის მიერ სისრულეში მოყვანას ადასტურებს მოწმეების – ქ------- ნ--------ის, ს-------- რ---------ის, მ------ მ-------ისა და ი----- ხ-------

---ის ჩვენებები, ასევე – ბანკიდან ამოღებული დოკუმენტები. 2012 წლის 16 ივნისიდან 2012 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით, ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა – დ----- ა-----ემ და გ------- ს------ემ ფონდის საბანკო ანგარიშიდან ნაღდი ფულის სახით შვიდ ნაწილად გაიტანეს 34 328 463 ლარი. სწორედ 2012 წლის ივნისიდან დაიწყო ა----- თ----------მა ხელფასების დარიგება ნაღდი ანგარიშსწორებით, იგი თავის სამუშაო ოთახში იბარებდა რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებს და შედგენილი სიების მიხედვით გასცემდა საჭირო რაოდენობის თანხას, რაც დადასტურებულია მოწმეების – გ. გ----------ის, მ. რ------ს, მ. თ------ის, ბ. კვ-----ის, გ. დ------ს, ე. ნ----------ის, ლ. ტ-------ისა და ი. ჭ------ს ჩვენებებით.

17.10. გარდა ზემოაღნიშნულისა, ააიპ „თ----იდან“ უკანონოდ დაფინანსდა „ე----------“ ლიდერების მხარდამჭერებთან შეხვედრებისას „ფურშეტით“ გამასპინძლება, რაც დასტურდება ფონდიდან ამოღებული დოკუმენტაციითა და მოწმე თ. ნ------ის ჩვენებით.

17.11. 2012 წლის 8 ოქტომბერს გ------- ს------ემ განცხადებით მიმართა თბილისის მთავრობას და ითხოვა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება. თბილისის მთავრობის დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერს დ----- ა-----ე, გ. ს------ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. იმისათვის, რომ არ გამჟღავნებულიყო ფონდიდან პარტიული მიზნებისათვის საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვის ფაქტი, თბილისის მთავრობის 2012 წლის 18 ოქტომბრის დადგენილებით ააიპ „თ----“ თავმჯდომარედ დაინიშნა სანდო პირი, ორგანიზებული ჯგუფის წევრი დ----- ა-----ი, რომელმაც შეგნებულად არ შეამოწმა ხარჯის მიზნობრიობა. მეტიც, სწორედ მან მიმართა სს „ლ----------ს“ და მოითხოვა ფონდის ანგარიშების დახურვა მიუხედავად იმისა, რომ ფონდს ბუღალტრულად საბანკო ანგარიშზე რჩებოდა ნაშთი. მისთვის ცნობილი იყო, რომ ბუღალტრული ნაშთისაგან განსხვავებით, რეალურად მითითებულ ანგარიშზე მერიიდან თანხა აღარ ირიცხებოდა, რაზეც მას კანონიერი რეაგირება შეგნებულად არ მოუხდენია.

17.12. ორგანიზებული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით თანხების გაფლანგვას ადასტურებს ასევე ის ფაქტი, რომ 2011-2012 წლებში თბილისის მერი, მ----------, თბილისის მთავრობა, ფონდის თავმჯდომარე და ფონდის გამგეობა შეთანხმებულად, კანონით დადგენილი წესის მიუხედავად, არ აკონტროლებდნენ ფონდის მიერ გაწეული ხარჯის მიზნობრიობას. შესაბამისად, ფონდის ანგარიში არ ჩაჰბარდა დამფუძნებელს – თბილისის მთავრობას და არც თბილისის მთავრობამ მოითხოვა ფონდისაგან ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ. ფონდის საქმიანობის უკონტროლოდ დატოვება აიხსნება მხოლოდ ჩადენილი

დანაშაულის შენიღბვით.

17.13. ბრალდებას ასევე დადასტურებულად მიაჩნია, რომ დ-------- ჩ----ეს შენობის კვლევის სპეციალისტებად გაფორმებული 33 პირის სახელზე დამზადებული სახელფასო პლასტიკური ბარათებით ბანკომატიდან გამოჰქონდა თანხა, რამაც ჯამურად შეადგინა 150 050 ლარი. აღნიშნულით დასტურდება მის მიერ გაფლანგვაში ორგანიზებული ჯგუფის დახმარება.

17.14. კასატორთა აზრით, ააიპ „თ----–----------“ საბანკო ანგარიშიდან თანხის გამოტანა სრული პერიოდის განმავლობაში ხდებოდა ერთიანი განზრახვით – პარტიული ინტერესებისათვის; თანხის გამოტანა ხდებოდა ერთი და იმავე ხერხით – ჩეკის გამოყენებით, თანხის გამოტანის მიზნობრიობაში მითითებულია „სხვადასხვა“; არ არსებობს აღნიშნული თანხის ფონდის მიზნებისათვის გამოყენების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი; როგორც წინა, ისე 2012 წლის 3 ოქტომბრის შემთხვევაშიც თანხის გამოტანის დროს გ------- ს------ეს თან ახლდა დ----- ა-–-----ე, რაც პირდაპირ მიუთითებს ორგანიზებული ჯგუფის წევრის ჩართულობასა და თანხის პარტიული ინტერესისთვის გამოყენებაზე; შესაბამისად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის დასრულების თარიღია 2012 წლის 3 ოქტომბერი. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულთა მიმართ სასჯელის განსაზღვრისას არ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი.

17.15. საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივი აქტები, კერძოდ, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონები შეაფასა არასრულყოფილად და ცალმხრივად; სწორედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლი ასახავს კანონმდებლის ნორმატიულ ნებას, რომელიც მითითებული საქმის ფაქტობრივ და იურიდიულ მოცემულობებს სამართლებრივად გაფლანგვად აფასებს.

17.18. სასამართლომ გ------- უ----–---ს მიერ ახალი დანაშაულის ჩადენად არ ჩათვალა ის გარემოება, რომ გ. უ----–---ს ბრალად წარედგინა ქმედება, რომელიც ჩადენილი იყო აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გირაოს მოქმედების პერიოდში. კერძოდ: 2014 წლის 4 ივლისს პროკურატურამ გ------- უ----–---ს წარუდგინა ბრალდება საქართველოს სსკ-ის 25-ე,362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 226-ე მუხლით (2 ეპიზოდი); ამ საქმეზე გ------- უ----–---ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 ივლისის განჩინებით აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა პატიმრობა. აღნიშნული ქმედებების ჩადენის თარიღებია – 2014

წლის აპრილის მეორე ნახევარი და 2014 წლის 5 ივნისი, ანუ პერიოდი, როდესაც გ------- უ--------- 2013 წლის 21 დეკემბრის განჩინებით იმყოფებოდა აღკვეთის ღონისძიების – გირაოს ქვეშ და ევალებოდა სათანადო ქცევა. შესაბამისად, არსებობს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილის გამოყენების წინაპირობა – გირაოს პირობების დარღვევა. გ. უ----------ს მიმართ შეფარდებულმა გირაომ – 50 000 ლარმა – ვერ უზრუნველყო აღკვეთის ღონისძიების მიზნების შესრულება – ბრალდებულის სათანადო ქცევა, ვერ აღკვეთა მისი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენა და მან გააგრძელა დანაშაულებრივი საქმიანობა, მათ შორის – ერთი ძალადობრივი, ხოლო მეორე – ეკონომიკური სახის. სწორედ ამიტომ ბრალდების მხარემ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით გირაოს უფრო მძიმე აღკვეთის ღონისძიებით – პატიმრობით შეცვლისა და დაყადაღებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით კანონის იმპერატიული მოთხოვნის შესრულების შესახებ, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ვინაიდან გ-------- უ----------ს უკვე შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა. ამის გამო, სასამართლოს განმარტებით, ვერც უძრავი ქონება მიექცეოდა აღსასრულებლად გირაოს სახით შეფარდებული თანხის ამოღების მიზნით. აღკვეთის ღონისძიების განხილვის სტანდარტი დასაბუთებული ვარაუდია და მოსამართლემაც ამ სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს. ამ საკითხის გადაწყვეტაც მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

18. მსჯავრდებულ გ------- ს------ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი----- ჯ----------ე შესაგებელში აღნიშნავს, რომ არ არსებობდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი გ------- ს------ისათვის დანაშაულის მსჯავრად შერაცხვისათვის.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონოა და მასში უნდა შევიდეს ცვლილებები, რადგან მსჯავრდებულების – გ------- ს------ის, გ------- უ----------ს, დ----- ა-------ის, ა------ თ----------ისა და დ----- ა----------ის ქმედებები თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა.

2. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ: **2. 1. მსჯავრდებულ გ------- ს------ის ქმედების კვალიფიკაცია წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულს, რაც გულისხმობს პირის მართლზომიერ მფლობელობასა ან გამგებლობაში მყოფი სხვისი ნივთის დიდი ოდენობით გაფლანგვას სამსახურებრივი**

მდგომარეობის გამოყენებით, ჩადენილს ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

2. 2. განსასაჯელ გ------- უ----—----ს ქმედების კვალიფიკაცია წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულს, რაც გულისხმობს პირის მართლზომიერ მფლობელობასა ან გამგებლობაში მყოფი სხვისი ნივთის დიდი ოდენობით გაფლანგვას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჩადენილს ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

2. 3. მსჯავრდებულ დ----- ა—-----ის ქმედების კვალიფიკაცია წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულს, რაც გულისხმობს პირის მართლზომიერ მფლობელობასა ან გამგებლობაში მყოფი სხვისი ნივთის დიდი ოდენობით გაფლანგვას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჩადენილს ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

2. 4. მსჯავრდებულ დ----- ა---—---ის ქმედების კვალიფიკაცია წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულს, რაც გულისხმობს პირის მართლზომიერ მფლობელობასა ან გამგებლობაში მყოფი სხვისი ნივთის დიდი ოდენობით გაფლანგვას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჩადენილს ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

2. 5. მსჯავრდებულ ა—----- თ-----—---—ის ქმედების კვალიფიკაცია წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულს, რაც გულისხმობს პირის მართლზომიერ მფლობელობასა ან გამგებლობაში მყოფი სხვისი ნივთის დიდი ოდენობით გაფლანგვას, ჩადენილს ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება – **გაფლანგვა –** ეკონომიკური ხასიათის დანაშაულია, კერძოდ კი – დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ. შესაბამისად, ხსენებული დანაშაულის ობიექტს

წარმოადგენს საკუთრებითი ურთიერთობები, ხოლო დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური მხარე გამოხატულია გაფლანგვის ფორმით. აღნიშნული დანაშაულის ჩამდენ პირს, როგორც სპეციალურ სუბიექტს, მასზე მინიჭებული უდავო უფლებამოსილებით ,,სხვისი ქონება“, რომლის გაფლანგვაც ბრალად აქვს შერაცხული, მართლზომიერ მფლობელობასა ან გამგებლობაში უნდა გააჩნდეს. აღნიშნული უფლებამოსილება ასევე კუმულაციურად უნდა გულისხმობდეს გაფლანგვის ჩამდენი პირის ფაქტობრივ შესაძლებლობას, სხვადასხვა მართლზომიერი ან არამართლზომიერი განზრახვით განახორციელოს ქმედებები ამ ქონების განკარგვით, სარგებლობით, გასხვისებით ან სხვა მიზნობრივი ან არამიზნობრივი მოტივებით.

4. პალატა ასევე მიუთითებს, რომ პირის ქმედების გაფლანგვად კვალიფიკაციისათვის სავალდებულოა, იკვეთებოდეს დანაშაულის სუბიექტური მხარე, რაც მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში გამოკვეთილია პირდაპირი განზრახვის სახით, ხოლო დიდი ოდენობით გაფლანგული ქონება სწორედ მსჯავრდებული პირების სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით აღმოჩნდა მათ მართლზომიერ მფლობელობაში. აღნიშნულ შემთხვევაში, სამსახურეობრივი საქმიანობა (რაც ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელია გაფლანგვის დანაშაულისთვის) გულისხმობს როგორც თანამდებობაზე დანიშნული და არჩეული პირების საქმიანობას, ასევე მათზე დაქვემდებარებული მოხელეებისა და მომუშავეების საქმიანობასაც, რომელიც შეიძლება საერთო განზრახვით მოქმედ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფს წარმოადგენდეს.

5. პალატა განმარტავს, რომ გაფლანგვის დანაშაულისათვის ერთ-ერთ სპეციფიკურ მახასიათებელს წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედების დაწყებისა და დასრულების დრო. პირის მიერ მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სხვისი ქონების გასხვისების ნებისმიერი არამართლზომიერი ფორმა, მათ შორის – წინასწარ განზრახვით არამიზნობრივი განკარგვა – დასრულებულ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს განკარგვის პროცესის დაწყებიდან სრულ გასხვისებამდე.

6. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლი წარმოადგენს სამოხელეო დანაშაულს, მისი სუბიექტია სახელმწიფო მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, რომლის განსაზღვრული უფლებამოსილების გარეთ ქმედებამ არსებითად დაარღვია ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებები, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები, ხოლო საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლი წარმოადგენს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ეკონომიკურ დანაშაულს; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება

და დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს სხვისი საკუთრება, რომელიც დამნაშავის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაშია.

7. საქმეში მსჯავრდებულ პირთა ქმედება გამოიხატება იმაში, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მათ მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არსებული სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, დიდი ოდენობის თანხები გაფლანგეს და ჩაიდინეს სახელმწიფოს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და არა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით არსებითად დაარღვიეს სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი.

8. საქმეში მსჯავრდებულ, თბილისის მერიის უმაღლესი თანამდებობის პირთა ქმედებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით არადანიშნულებისამებრ გაიხარჯა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული 48 183 960 ლარი, რამაც ხელყო არა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი, არამედ – სახელმწიფო საკუთრება, რაც ცალსახად საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის შემადგენლობაა.

9. საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლი არის ზოგადი ნორმა დანაშაულის ზოგადი ობიექტითა და სპეციალური სუბიექტით, ხოლო სსკ-ის 182-ე მუხლი არის კონკრეტული ნორმა დანაშაულის უშუალო ობიექტით. საკასაციო სასამართლომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას სრულად გაითვალისწინა ქმედების დანაშაულებრივი ნიშნები და დამდგარი შედეგი, დანაშაულის ობიექტისა და სუბიექტის თანხვედრა სისხლისსამართლებრივი ნორმის შინაარსთან, დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური მხარეები და მივიდა დასკვნამდე, რომ სახელმწიფო თანამდებობის პირის/პირების მიერ სახელმწიფო საკუთრების გაფლანგვა სრულად შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის შემადგენლობას.

10. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია გულისხმობს ნორმის ზუსტ შესაბამისობას ქმედებასთან. იგი წარმოადგენს შემეცნებით-ლოგიკურ პროცესს, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივად საშიში ქმედების იურიდიულ შეფასებას. დანაშაულის კვალიფიკაციისას, სისხლისსამართლებრივი ნორმების კონკურენციის პირობებში, გამოყენებულ უნდა იქნეს ის ნორმა, რომელიც სრულად მოიცავს ქმედების შემადგენლობას და მასში ამომწურავად არის მოცემული დანაშაულის ნიშნები.

11. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მსჯელობას საქმეში მსჯავრდებულ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით დაკვალიფიცირების თაობაზე, რადგან აღნიშნული ზოგადი ნორმის გამოყენებით იქმნება არასწორი სისხლისსამართლებრივი პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს მოხელის ან მასთან დათანაბრებული პირის მიერ

ჩადენილი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის დაკვალიფიცირებას, როგორც უფლებამოსილების გადამეტებას.

12. სისხლის სამართლის საქმის მასალებით კი დასტურდება, რომ თბილისის მერიამ 2010 წლის 16 ივლისის №2-------- დადგენილებით დააფუძნა ააიპ ,,თ----–----------ი“. ფონდის დაფუძნებისა და მისი ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენდა თბილისის ტერიტორიაზე ისტორიული და სხვა მნიშვნელოვანი შენობების რეაბილიტაცია-გამაგრების მიზნით სტრატეგიის შემუშავება, მისი განხორციელების ხელშეწყობა და შესრულებაზე კონტროლი. ამ კონკრეტული მიზნისათვის ფონდს ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოეყო თანხები, რომელთა ხარჯების მიზნობრიობაზე ფონდის ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულების შესახებ მიეთითა ფონდის წესდებაში. 2011 წლის აგვისტოდან 2011 წლის დეკემბრამდე ,,თ----–----------“ ანგარიშებზე მობილიზებულ იქნა 100 მილიონი ლარი, რომლის ჩარიცხვის საფუძველს ცალსახად წარმოადგენს თ----–---------- – გ------- უ---–---ს გადაწყვეტილება და ქალაქის მთავრობის დადგენილება. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეში არსებული საინფორმაციო ხასიათის ოფიციალური საბანკო-საფინანსო მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისის მერიის ბიუჯეტიდან 100 მილიონი ლარის ,,თ----–---------- -------“ ანგარიშზე ჩარიცხვის პერიოდშიც და შემდგომაც ფონდი არ ახორციელებდა შესაბამისი ხარჯის ძვირად ღირებულ პროექტებს, რაც, წესდების მიხედვით, ფონდის შექმნისა და საქმიანობის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა. ასევე, თბილისის მერიას არ დასაბუთებია საბიუჯეტო თანხების გადარიცხვის მიზნობრიობა და ფონდს არ წარუდგენია წესდებით გათვალისწინებული კონკრეტული პროექტების განხორციელების საჭიროება.

13. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მასალებისა და მსჯავრდებულთა ქმედებების სამართლებრივი შეფასების შედეგად დასტურდება, რომ ,,თ----– ----------ში“ წინასაარჩევნოდ დიდი ოდენობით თანხების მობილიზება წინასწარ განსაზღვრული არ იყო მხოლოდ ფონდის წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისათვის, არამედ გამიზნული იყო პოლიტიკური პარტია ,,ე----------–----–----------“ სასარგებლოდ თანხების განკარგვისთვის.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში ქ--------–---------- (მ----------) და ამავდროულად მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ე----------–---

----------------“ თ--- – გ------- უ---------მ, ააიპ ,,თ---------------------------------“ თავმჯდომარემ – გ------- ს------ემ, ქ. თბილისის მერიის მ-----------------------------ის საქალაქო სამსახურის უფროსმა და იმავდროულად მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ე---“ ქ--- – ა------ თ-----------მა, ქ. თ---------------- მ---------ემ – დ----- ა-------ემ და ძველი თბილისის რაიონის გ---------მა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ე--------------------------------------“ ქ-- – დ----- ა--------მა 2011 წელს მიზანმიმართულად შექმნეს ორგანიზაციული დანაშაულებრივი ჯგუფი, წინასწარ შეიმუშავეს საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვის დანაშაულებრივი გეგმა და გაინაწილეს როლები, რისთვისაც აქტიურად იყენებდნენ თანამდებობრივ მდგომარეობებს, ფონდში აკუმულირებულ საბიუჯეტო სახსრებს კი, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მიმართავენ მხოლოდ ერთი დანიშნულებით – ,,ე-------------------------------------“ სასარგებლოდ.

15. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულების – გ. ს------ის, გ. უ---------ს, დ. ა-------ისა და დ. ა--------ის მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,დ“ და მე-3 ნაწილის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით , ხოლო ა. თ-----------ის მიმართ წარდგენილი ბრალდება – საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით, დადასტურებულია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, სისხლის სამართლის საქმეში არსებული სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობით, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს ზემოაღნიშნული პირების ბრალეულობაში.

16. კერძოდ: მსჯავრდებულების მიმართ ბრალად შერაცხული დანაშაულებრივი ქმედება უდავოდ დასტურდება სს ,,ლ--------------იდან“ ამოღებული საფინანსო-საბანკო დოკუმენტაციითა და მოწმე ქ------- ნ--------ის ჩვენებით, საიდანაც დასტურდება, რომ ,,თ--------------------------------თან“ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მან 719 პლასტიკური ბარათი უშუალოდ გადასცა გ. ს------ეს. აღნიშნული გარემოება დამატებით დასტურდება გ------- ს------ესა და ქ------- ნ--------ეს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით, რაც, ისევე როგორც ძირითადი ხელშეკრულება, დამოწმებულია გ------- ს------ის ხელმოწერით. სისხლის სამართლის საქმის მასალებით აშკარად გამოკვეთილია, რომ ზემოაღნიშნული პლასტიკური ბარათები გ. ს------ემ, დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად, გადასცა ორგანიზებული ჯგუფის წევრს, საქალაქო ორგანიზაციის ფინანსური საკითხების კურატორს – ა------- თ-----------ს. მოწმეები: ტ. ხ-------------ი, ნ. თ----------ე, მ. რ------, მ. თ------ე, ბ. კვ-----ი, ლ. ტ--------ე და გ. დ------ ცალსახად

ადასტურებენ, რომ ა-–----- თ----------–ი ქ. თბილისის მერიის შენობაში, სამუშაო კაბინეტში, არიგებდა უბნის უფროსების სახელზე დამზადებულ პლასტიკურ ბარათებს და მკაცრად აფრთხილებდა რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლებს, არსად გაემჟღავნებინათ საგანგებოდ დამზადებული პლასტიკური ბარათების არსებობის შესახებ, რადგან აღნიშნულის გამოაშკარავება საფრთხეს შეუქმნიდა წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი განზრახვის შესრულებას. დადგენი-–--, რომ პლასტიკურ ბარათებზე თანხების ჩარიცხვას ა. თ----------–ი ატყობინებდა რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეებს, ხოლო პლასტიკური ბარათებიდან თანხები, სხვა თავმჯდომარეებთან ერთად, გამოჰქონდა დ----- ა---–---ს, რაც ცალსახად დასტურდება მოწმეების – გ. გ----------–--ის, მ. რ------ს, მ. თ------ის, ბ. კვ-–---ის, ლ. ტ-–------ის, გ. დ------ს ჩვენებებითა და სატელეფონო ზარების დეტალური დათვალიერების ოქმებით.

17. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ერთობლივი დანაშაულებრივი განზრახვა და ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად განხორციელებული ქმედებები დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით, მათ შორის – მოწმე ტ------– ხ----------–ის ჩვენებით, საიდანაც დადგინდა, რომ პლასტიკური ბარათების გამოყენების შედეგად ფიზიკური პირის ქონების გადასახადის თავიდან ასაცილებლად, საგანგებო თათბირზე გადაწყდა პლასტიკური ბარათების გაუქმება და პარტიულ აქტივზე ფონდიდან ხელფასების ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდა. პარტიულ თათბირს ესწრებოდნენ დ----- ა---–---ი და ა-–----- თ----------–ი, ხოლო ფონდიდან ნაღდი ანგარიშსწორებით გამოტანილი თანხებით პარტიულ აქტივზე ხელფასების გაცემის საკითხზე გადაწყვეტილება პირადად მიიღო გ------- უ---–---მ.

18. სისხლის სამართლის საქმეში არსებული პირდაპირი მტკიცებულებები – ,,ლ----------ის“ საფინანსო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია და მოწმეების: ქ. ნ--------ის, ს. რ-------–--ის, მ. მ-------ისა და ი. ხ-–--------–ის ჩვენებები ცალსახად მიუთითებენ და ადასტურებენ, რომ 2012 წლის 16 ივნისიდან 2012 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით, დ----- ა-–-----ემ და გ------- ს------ემ ფონდის საბანკო ანგარიშიდან ნაღდი ფულის სახით შვიდ ნაწილად გაიტანეს 34 328 463 ლარი, საიდანაც ა. თ----------–მა ხელფასების ნაღდი ფულით გაცემა დაიწყო 2012 წლის ივნისიდან. პარტიული აქტივის ხელფასების სახით თანხების ხელზე გადაცემის ფაქტები რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეებზე დადასტურებულია მოწმეების – გ. გ----------–--ის, მ. თ------ის, მ. რ------ს, ბ. კვ-–---ის, გ. დ------ს, ე. ნ----------–-----ის, ლ. ტ-–-----ისა და ი. ჭ------ს ჩვენებებით.

19. სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებით: ფონდის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციითა და მოწმე

თ. ნ–------ის ჩვენებით ასევე დასტურდება, რომ ფონდის ანგარიშზე აკუმულირებული სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან, 2012 წლის თებერვლიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით, გაფორმდა ხელშეკრულებები შპს ,,ფ----------სა“ და შპს ,,ს----------თან“ ,,ე----------–----------“ ლიდერების მხარდამჭერების ფურშეტით გამასპინძლების მიზნით, რაშიც ერთობლივად გაიფლანგა ქ. თბილისის მერიის კუთვნილი საბიუჯეტო სახსრები – 719 862 ლარი.

20. უზენაესი სასამართლოს პალატას სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად დადგენილად მიაჩნია, რომ 2011-2012 წლებში გ------- უ-------- იყო ქ----------–----------–---------- ––---------- და ამავდროულად ასრულებდა პოლიტიკური გაერთიანება ,,ე---------–----------“ საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოვალეობას. ,,საქართველოს დედაქალაქის – თბილისის“ შესახებ საქართველოს კანონისა და ქალაქ თბილისის მერიის დებულების თანახმად, ქ–––---------–----------–---------- საქმიანობას, უძღვებოდა მთავრობის საქმიანობას, აკონტროლებდა ბიუჯეტის ხარჯვას და ისმენდა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ. მოწმე ტ-------– ხ----------–––ის ჩვენებით დადგენილია, რომ მოცემულ პერიოდში დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების განკარგვა უშუალოდ თანხმდებოდა თბილისის მერთან, რა დროსაც გ. უ-------- პირადად განიხილავდა მ----------–სთან თანხების განკარგვის შესახებ ყველა საკითხს. ასევე, პარტიული საქმიანობის მიზნით, როგორც საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე, საკადრო პოლიტიკასა და თანხების განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს უშუალოდ იღებდა გ------- უ---–---. პარტიაში წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად, განსაკუთრებულ შემთხვევებში გ------- უ-------- ატარებდა თათბირებს და გასცემდა მითითებებს როგორც პარტიული მიმართულებით, ასევე – ქალაქ თბილისის მერიაში დიდი ოდენობით თანხების განკარგვის შესახებ. აღნიშნული დასტურდება ამავე საქალაქო ორგანიზაციის წევრების, მოწმის სახით დაკითხული ნ---- თ----------ისა და მ----- რ------ს ჩვენებებით და ასევე – რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეების მოწმის სახით დაკითხვებით. გ------- უ---------ს ინიციატივით, 2011 წელს, წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით, პარტიული აქტივისათვის (დაახლოებით 20 000 აქტივისტი) ხელფასების გაცემის მიზნით, დიდი ოდენობით საჭირო თანხების მობილიზაციისთვის გადაწყდა, რომ ქ. თბილისის მერიის საბიუჯეტო სახსრებიდან მომხდარიყო შესაბამისი დაფინანსება. საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2011 წლის აგვისტოდან 2011 წლის დეკემბრის ჩათვლით, ქ. თბილისის მერიის სხვადასხვა სამსახურის საბიუჯეტო კოდზე არსებული 100 მილიონი ლარი გადატანილ იქნა ააიპ ,,თ-–––----------“ ანგარიშზე, რასაც სამართლებრივ საფუძვლად დაედო ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებები. საქმეში არსებული

მტკიცებულებები, რაც ასახავს ფონდის საქმიანობის რეალურ მიზანს და თითოეული მსჯავრდებულის როლს საერთო დანაშაულებრივ ორგანიზებულ ჯგუფში, კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მთავრობის წევრების – გ------- უ---------ს, დ----- ა-------ის, ა------ თ----------ისა და დ----- ა----------ის დანაშაულებრივ ქმედებებს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი აქვს ააიპ ,,თ----------“ მეშვეობით საბიუჯეტო სახსრების დიდი ოდენობით გაფლანგვასთან.

21. უზენაესი სასამართლოს პალატა არ ეთანხმება თბილისის სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომლის მიხედვით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონისა და ,,საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქ. თბილისის მერიის ბიუჯეტის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა განეკუთვნებოდა კოლეგიური ორგანოს – საკრებულოს უფლებამოსილებას, ხოლო მერია, როგორც კოლეგიური აღმასრულებელი ორგანო, ასრულებდა საკრებულოს გადაწყვეტილებებს. პალატა განმარტავს, რომ ააიპ ,,თ----------“ ანგარიშზე თანხების გადატანას ჰქონდა ფონდის წესდებით განსაზღვრული კონკრეტული მიზნები – ისტორიული და სხვა მნიშვნელოვანი შენობების რეაბილიტაცია-გამაგრების მიზნით სტრატეგიის შემუშავება, მისი განხორციელების ხელშეწყობა და შესრულებაზე კონტროლი. სისხლის სამართლის საქმის მასალებით კი დასტურდება, რომ მერიის საბიუჯეტო სახსრების ფონდის ანგარიშზე გადატანას საფუძვლად დაედო ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებები, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: გ------- უ---------, დ----- ა---------ი, დ----- ა----------ე და ა---------- თ----------ი. უზენაესი სასამართლოს პალატა ვერ გაიზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას, რომლის მიხედვით ,,..აღნიშნული პირები იყვნენ მთავრობის ცალკეული წევრები და მხოლოდ მათი უფლებამოსილება არ ყოფილა ფონდის ანგარიშზე მერიის კუთვნილი თანხების გადატანა“ , რადგან ფონდის ანგარიშზე არსებული თანხების განკარგვა ხდებოდა წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი სქემის შესაბამისად, გ. ს------ის, გ. უ----------ს, დ. ა----------ის, დ. ა----------ისა და ა. თ----------ისაგან შემდგარი ორგანიზებული ჯგუფის მიერ და პირდაპირი განზრახვით ჩადენილი კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებები პირდაპირ მიზეზობრივ კავშირშია ქ. თბილისის მერიის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვასთან.

22. სახელმწიფო თანამდებობის პირმა სამსახურებრივი საქმიანობისას უნდა დაიცვას ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი, სამსახურებრივი შესაძლებლობების გამოყენებით არ ისარგებლოს ბოროტად, რათა არ მოხდეს სახელმწიფო ქონების გაფლანგვა.

23. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა ყურადღებას ამახვილებს, რომ 2011-2012 წლებში ქ----------, მიუხედავად კანონით დადგენილი წესისა და კონკრეტული წესდების მოთხოვნისა, არ აკონტროლებდნენ ფონდის მიერ გაწეული ხარჯების მიზნობრიობას და, შესაბამისად, ზედამხედველობის ან მის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების რაიმე სამართლებრივი აქტი მერიის კომპეტენტურ სამსახურებს არ შეუდგენიათ, ხოლო ბანკიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების გამოტანის მიზნობრიობას არ აკონკრეტებდა თანხების მომთხოვნი პირი და არც გატანილი თანხების ფონდის წესდებით გათვალისწინებული მიზნებისთვის ხარჯვის ამსახველ დოკუმენტებს ადგენდნენ ფონდის ფინანსურად პასუხისმგებელი პირები.

24. აღნიშნული გარემოება, რაც დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ ჩამოთვლილი პირების შემადგენლობით სტრუქტურული ფორმის მქონე ორგანიზებული ჯგუფის არსებობას, ჯგუფის წევრების შეთანხმებულ მოქმედებას და ერთიან დანაშაულებრივ განზრახვას, რაც პირდაპირ იყო დაკავშირებული პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე მერიის კუთვნილი საბიუჯეტო თანხების გაფლანგვასთან.

25. სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს უნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. ამასთან, სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებანი ყოველი მსჯავრდებულის ინდივიდუალურ შეფასებას, სამართლებრივი სიკეთის დაცვის პრევენციას და საჯარო ინტერესის დაკმაყოფილებას გულისხმობს. მნიშვნელოვანია, შეფასდეს დამნაშავის რესოციალიზაციისა და მისი საზოგადოებასთან იზოლაციის ხანგძლივობის ხარისხიც. პალატა მიუთითებს, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, რაც პირდაპირ უკავშირდება სასჯელის სამართლიანობას, სასამართლო ინდივიდუალურად აფასებს მოცემული საქმის გარემოებებსა და მსჯავრდებულთა პიროვნებებს, იმ გარემოების გათვალისწინებით, თუ კონკრეტული სახისა და ზომის სასჯელის შერჩევა რამდენად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. პალატა აქვე აღნიშნავს, რომ, იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედებების ეპიზოდები მოცული იყო მათი ერთიანი კონკრეტული განზრახვითა და საერთო გადაწყვეტილებით და საქმე გვაქვს ერთიან, განგრძობად დანაშაულთან,

რომელიც დაიწყო 2012 წლის 2 ოქტომბრამდე და რომლის მხოლოდ ერთი – ბოლო ეპიზოდია ჩადენილი 2012 წლის 3 ოქტომბერს, ყველა მსჯავრდებულის, მათ შორის – გ------- ს------ის – მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი.

26. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატა სრულად იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს პალატის მსჯელობას და სამართლებრივ დასაბუთებას დ-------- ჩ----ის წარდგენილ ბრალდებაში (საქართველოს სსკ-ის 25-ე,182-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით) გამართლების შესახებ, რადგან ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლის ერთობლივი ანალიზისას გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდებოდა დ-------- ჩ----ის მიერ ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენა.

27. რაც შეეხება კასატორთა მოთხოვნას გ------- უ---------ს მიერ გირაოს პირობების დარღვევის გამო დაყადაღებული უძრავი ქონების აღსასრულებლად მიქცევის შესახებ, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს ქვეშ ყოფნის პერიოდში გ------- უ---------ს არ დაურღვევია საქართველოს სსსკ-ის მე-200 მუხლით გათვალისწინებული გირაოს პირობები, არ მიმალულა და ცხადდებოდა როგორც გამოძიების ორგანოებში, ისე – სასამართლოში. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 დეკემბრის განაჩენი გირაოს უზრუნველსაყოფად უძრავ ქონებაზე ყადაღის მოხნის ნაწილში კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორების – ქეთევან ჩაჩავასა და გიორგი მუჯირის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:
3. გ------- ს------ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3

ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 8 (რვა) წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით 1 (ერთი) წლით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;
5. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე, გ------- ს------ეს გაუნახევრდეს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის ვადა და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით 6 (ექვსი) თვით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;
6. მსჯავრდებულ გ------- ს------ეს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან;
7. გ------- უ----–--- ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა;
8. საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით 8 (რვა) თვით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;
9. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე, გ------- უ----–---ს გაუნახევრდეს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის ვადა და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 4 (ოთხი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით 4 (ოთხი) თვით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;
10. მსჯავრდებულ გ------- უ----–---ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 6 იანვრის განაჩენით დანიშნული სასჯელი – 1 (ერთი) წლით, 3 (სამი) თვითა და 22 (ოცდაორი) დღით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული სასჯელი – 6 (ექვსი) თვით სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება და საბოლოოდ, გ------- უ----–---ს მოსახდელად განესაზღვროს 3 (სამი) წლით, 2 (ორი) თვითა და 8 (რვა) დღით თავისუფლების აღკვეთა;
11. მსჯავრდებულ გ------- უ----–---ს დამატებითი სასჯელის სახით 4

(ოთხი) თვით სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება ჩაეთვალოს მოხდილად;

12. მსჯავრდებულ გ------- უ----–---ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან;
13. დ----- ა–-----ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა;
14. საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით 8 (რვა) თვით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;
15. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე, დ----- ა–-----ეს გაუნახევრდეს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის ვადა და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 3 (სამი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით 4 (ოთხი) თვით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;
16. მსჯავრდებულ დ----- ა–-----ეს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2013 წლის 27 ივნისიდან 2013 წლის 26 ივლისის ჩათვლით და ერთი დღე – 2017 წლის 29 დეკემბერი;
17. მსჯავრდებულ დ----- ა–-----ეს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან;
18. ა–----- თ----------ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა;
19. საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით 8 (რვა) თვით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;
20. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე, ა–----- თ----------ს გაუნახევრდეს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის ვადა და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 3 (სამი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით 4 (ოთხი) თვით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;
21. მსჯავრდებულ ა–----- თ----------ს დამატებითი სასჯელის სახით 4 (ოთხი) თვით სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის

დაკავების უფლების ჩამორთმევა დღეის მდგომარეობით ჩაეთვალოს მოხდილად;

22. მსჯავრდებულ ა–––--- თ----------ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2013 წლის 27 ივნისიდან 2013 წლის 26 ივლისის ჩათვლით და ერთი დღე – 2017 წლის 11 ივლისი;
23. მსჯავრდებულ ა–––--- თ----------ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან;
24. დ----- ა-------ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა;
25. საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით 8 (რვა) თვით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;
26. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე, დ----- ა-------ს გაუნახევრდეს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის ვადა და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 3 (სამი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით 4 (ოთხი) თვით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;
27. მსჯავრდებულ დ----- ა-------ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2013 წლის 27 ივნისიდან 2013 წლის 26 ივლისის ჩათვლით;
28. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 დეკემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
29. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე მ. გაბინაშვილი

მოსამართლეები: შ. თადუმაძე

გ. შავლიაშვილი